

**აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის
ოქმი №15**

ქ. აბაშა, 2018 წლის 26 ნოემბერი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა
(ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომა დაიწყო: 10:00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გოდერძი კუპრავა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ელვარდი ნოდია, ზაზა გაბელაია, ზურაბ შუბლაძე და კოკი ჩაჩავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მერაბ მელია, შოთა ჭანტურაია და ბენია პიტავა.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებაზე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხს: გ. კუპრავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს :

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებაზე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხს: გ. კუპრავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „აბაშის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებაზე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

აზრი გამოთქვეს: ე.ნოდიაშვილი და კ.ჩაჩავაძე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -5; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

განკარგულების პროექტი - „აბაშის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებაზე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა 10:30 საათზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე:

გ. კუპრავა